

შპს SmartPharm

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

ს ა რ ჩ ე ვ ი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-20
მმართველობის ანგარიშგება	21-28

შპს SmartPharm

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს SmartPharm-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, აქციონერთა კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ისეთი ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ცალკეულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ცალკეული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ცალკეული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- ცალკეულ მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 4 ოქტომბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი ----- ირაკლი თევზაძე

მთავარი ბუღალტერი ----- ელდარ ტუფურია

2023 წლის 4 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- ცალკეულ მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 4 ოქტომბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

.....



ირაკლი თევზაძე

მთავარი ბუღალტერი

.....

.....

ელდარ ტუფურია

2023 წლის 4 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო



აუდიტორული კომპანია
შ.პ.ს. “ჯ. ბ. აუდიტი”
AUDIT COMPANY
“J. B. Audit”, LLC
www.jbauditi.ge



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს SmartPharm-ის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს SmartPharm-ის (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთები შეადგენს 1,787,076 და 4,087,805 ლარს. 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რომ აღნიშნული მუხლების ნაშთები ზუსტად და უტყუარად ასახავს არსებულ მდგომარეობას.

აუდიტს წავმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის

ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ

პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორის დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

მარიამ ფიცხელაური (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-874913**).

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

4 ოქტომბერი, 2023 წელი

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

მარიამ ფიცხელაური (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-874913**).

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

4 ოქტომბერი, 2023 წელი



შპს SmartPharm

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2022	2021
საქონლის რეალიზაცია		33,896,050	32,208,371
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(27,014,154)	(26,677,863)
საერთო მოგება		6,881,896	5,530,507
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები		(389,495)	(280,999)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2,602,013)	(2,696,809)
სხვა შემოსავალი/ხარჯი	6	(38,300)	(8,857)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		3,852,088	2,543,843
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი		231,448	26,019
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	7	27,834	13,167
მოგება დაბეგვრამდე		4,111,370	2,583,029
მოგების გადასახადის ხარჯი		(19,543)	-
მოგება წლის განმავლობაში		4,091,827	2,583,029
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად		-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		4,091,827	2,583,029

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 04 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი თევზაძე

ელდარ ტუფურია

დირექტორი

მთავარი

ბუღალტერი

შპს SmartPharm

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2022	2021
საქონლის რეალიზაცია		33,896,050	32,208,371
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(27,014,154)	(26,677,863)
საერთო მოგება		6,881,896	5,530,507
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები		(389,495)	(280,999)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2,602,013)	(2,696,809)
სხვა შემოსავალი/ხარჯი	6	(38,300)	(8,857)
შედგენი საოპერაციო საქმიანობიდან		3,852,088	2,543,843
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი		231,448	26,019
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	7	27,834	13,167
მოგება დაბეგვრამდე		4,111,370	2,583,029
მოგების გადასახადის ხარჯი		(19,543)	-
მოგება წლის განმავლობაში		4,091,827	2,583,029
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად		-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		4,091,827	2,583,029

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 04 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი თევზაძე

ელდარ ტუფურია


 დირექტორი
 მთავარი
 ბუღალტერი

შპს SmartPharm

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31-Dec-2022	31-Dec-2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	685,121	300,259
გრძელვადიანი აქტივები		685,121	300,259
მარაგები	9	9,291,084	7,069,796
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,787,076	1,485,076
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	11	3,374,181	1,962,228
მიმდინარე აქტივები		14,452,341	10,517,101
სულ აქტივები		15,137,463	10,817,359
კაპიტალი			
კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		11,049,658	7,248,963
სულ კაპიტალი		11,049,658	7,248,963
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	4,087,805	3,568,396
მოკლევადიანი სესხები	13	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		4,087,805	3,568,396
სულ ვალდებულებები		4,087,805	3,568,396
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,137,463	10,817,359

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 04 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი თევზაძე

დირექტორი

ელდარ ტუფურია

მთავარი ბუღალტერი

შპს SmartPharm

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31-Dec-2022	31-Dec-2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	685,121	300,259
გრძელვადიანი აქტივები		685,121	300,259
მარაგები	9	9,291,084	7,069,796
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,787,076	1,485,076
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	11	3,374,181	1,962,228
მიმდინარე აქტივები		14,452,341	10,517,101
სულ აქტივები		15,137,463	10,817,359
კაპიტალი			
კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		11,049,658	7,248,963
სულ კაპიტალი		11,049,658	7,248,963
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	4,087,805	3,568,396
მოკლევადიანი სესხები	13	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		4,087,805	3,568,396
სულ ვალდებულებები		4,087,805	3,568,396
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,137,463	10,817,359

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 04 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი თევზაძე

ელდარ ტუფურია

ა. ციკლაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



შპს SmartPharm

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლისათვის

ლარი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		4,925,935	4,925,935
	-		
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება		-	-
	-		
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		2,583,029	2,583,029
განაწილებული დივიდენდი		(260,000)	(260,000)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		7,248,963	7,248,963
	-		
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება		-	-
	-		
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		4,091,827	4,091,827
განაწილებული დივიდენდი		(291,133)	(291,133)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		11,049,658	11,049,658
	-		

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 04 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი თევზაძე

დირექტორი

ელდარ ტუფურია

მთავარი ბუღალტერი

შპს SmartPharm

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლისათვის

ლარი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		4,925,935	4,925,935
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	2,583,029	2,583,029
განაწილებული დივიდენდი	-	(260,000)	(260,000)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		7,248,963	7,248,963
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	4,091,827	4,091,827
განაწილებული დივიდენდი	-	(291,133)	(291,133)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		11,049,658	11,049,658

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 04 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი თევზაძე

ელდარ ტუფურია



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს SmartPharm

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლისათვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	31-12-22	31-12-21
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	29,269,672	28,615,646
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(24,881,790)	(25,237,128)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1,277,155)	(946,672)
გადახდილი გადასახადები	(732,471)	(431,951)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(23,163)	(33,765)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,355,093	1,966,131
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(440,752)	(93,208)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	-	5,000
მიღებული პროცენტები	28,342	13,168
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(412,410)	(75,040)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	556,829	400
სესხების დაფარვა	(545,480)	(242,757)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(507)	(1)
გადახდილი დივიდენდები	(276,576)	(260,000)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(265,734)	(502,358)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(264,996)	(78,916)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	1,411,953	1,309,817
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	1,962,228	652,411
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	3,374,181	1,962,228

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 04 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი თევზაძე

დირექტორი

ელდარ ტუფურია

მთავარი ბუღალტერი

შპს SmartPharm

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლისათვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	31-12-22	31-12-21
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	29,269,672	28,615,646
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(24,881,790)	(25,237,128)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1,277,155)	(946,672)
გადახდილი გადასახადები	(732,471)	(431,951)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(23,163)	(33,765)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,355,093	1,966,131
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(440,752)	(93,208)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	-	5,000
მიღებული პროცენტები	28,342	13,168
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(412,410)	(75,040)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	556,829	400
სესხების დაფარვა	(545,480)	(242,757)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(507)	(1)
გადახდილი დივიდენდები	(276,576)	(260,000)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(265,734)	(502,358)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(264,996)	(78,916)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	1,411,953	1,309,817
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	1,962,228	652,411
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	3,374,181	1,962,228

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2023 წლის 04 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი თევზაძე

ელდარ ტუფურიძე




დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს SmartPharm (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 3 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404896715.

შპს SmartPharm-ის იურიდიული მისამართია დოლიძის ქ., №46 / ბალანჩივადის ქ., № 41, ფართი №5+3.00 ნიშნული, თბილისი, საქართველო. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს მედიკამენტების, სხვა ფარმაცევტული პროდუქციისა და სხვადასხვა არასამედიცინო პროდუქტების საბითუმო გაყიდვები.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100 %-იანი დამფუძნებელი არის თეა მგალობლიშვილი.

2. მომზადების საფუძვლები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

საქმიანობის უწყვეტობა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844	0.0368
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	0.0415

შემოსავალი. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარცხებით.

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯები. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაბეგვრა. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში

რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ხელმძღვანელობას მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადა საშუალოდ შეადგენს 10 წელს.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, წარმოშობილი ოპერაციული ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი. კომპანიის დადგენილი კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ. კომპანიის დადგენილ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ფულადი ვალდებულების სახით დაგამოქვითულია საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულ და დამტკიცებულნი არიან. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და საფინანსო ანგარიშგებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი ავტორიზებულია გამოსაცემად და აღნიშნულია შემდგომი მოვლენების შესახებ აღნიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდირებად ინვესტიციებს სამ თვიანი ან ნაკლები დადგენილი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველწლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა. კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით, თითოეული ზემოქმედების ფაქტების საფუძველზე.

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022	2021
შრომის ანაზრაულება	(1,737,168)	(1,207,098)
რეკლამის ხარჯი	(150,109)	(578,144)
იჯარის ხარჯი	(177,499)	(124,962)
მედიკამენტის რეგისტრაციის ხარჯი	(14,040)	(11,441)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(24,062)	(59,900)
ამორტიზაცია და ცვეთა	(56,234)	(30,014)
დაცვის ხარჯი	(4,896)	(7,336)
დაზღვევის ხარჯი	(29,280)	(34,134)
კომუნალური ხარჯი	(36,505)	(23,682)
ქველმოქმედების ხარჯი	(6,600)	(6,000)
მივლინების ხარჯი	(80,422)	(38,855)
კომუნიკაციის ხარჯი	(24,604)	(13,767)
საკანცელარიო ხარჯი	(31,483)	(18,791)
სატრანსპორტო საშუალების შენახვის/რემონტის ხარჯი	(26,334)	(33,331)
შეფუთვის ხარჯები	(13,360)	(11,901)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	(53,564)	(9,205)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(24,274)	(35,732)
კომპიუტერის ხარჯი	(10,576)	(8,733)
ბანკის საკომისიო	(23,586)	(26,016)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(46,971)	(359,824)
სხვადასხვა ხარჯები	(30,445)	(57,943)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,602,013)	(2,696,809)

შპს SmartPharm

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერი

6. სხვა შემოსავალი/ხარჯი

ლარი	2022	2021
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების/არამატ. აქტივების გასვლიდან	-	2,506
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერისა და გაუფასურების ხარჯი	-	(57,271)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი	(23,945)	(30,132)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზედმეტობა	33,621	26,197
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(47,977)	49,843
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(38,300)	(8,857)

7. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ლარი	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	28,342	13,168
საპროცენტო ხარჯი	(507)	(1)
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	27,834	13,167

შპს SmartPharm

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერი

8. ძირითადი საშუალებები

ლარი	დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე მოწყობილობა და ავტო	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020					
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,152	41,020	168,387	-	233,559
მიღებულია 2021 წლის საანგარიშო პერიოდში	15,577	27,372	63,106		106,055
დარიცხული ცვეთა	(2,976)	(6,076)	(20,963)		(30,014)
გასული	-	(6,847)	(2,494)		(9,341)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021					
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36,753	55,469	208,036	-	300,259
მიღებულია 2022 წლის საანგარიშო პერიოდში	-	68,351	242,911	131,392	442,653
დარიცხული ცვეთა	(4,247)	(8,824)	(36,540)	(6,624)	(56,234)
გასული	-	(1,557)	-	-	(1,557)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022					
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	32,507	113,439	414,407	124,768	685,121

9. მარაგები

ლარი	31-12-22	31-12-21
მედიკამენტები და დამხმარე სამედიცინო საქონელი	8,415,122	6,163,169
საქონელი გზაში	875,963	906,627
სულ მარაგები	9,291,084	7,069,796

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

ლარი	31-12-22	31-12-21
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,361,292	1,397,097
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	6,628	6,711
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	419,157	81,268
სულ მოთხოვნები	1,787,076	1,485,076

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	31-12-21	31-12-20	31-12-19
ფულადი სახსრები ლარში	1,799,584	631,862	327,248
ფულადი სახსრები ევროში	49,772	16,912	756
ფულადი სახსრები დოლარში	92,889	1,875	175
ფულადი სახსრები რუბლში	12	11	266
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	1,942,257	650,659	328,444
ნაღდი ფული ლარში	19,971	1,752	41
სულ ნაღდი ფული	19,971	1,752	41

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	31-12-22	31-12-21
ფულადი სახსრები ლარში	1,703,847	1,799,584
ფულადი სახსრები ევროში	722,941	49,772
ფულადი სახსრები დოლარში	783,196	92,889
ფულადი სახსრები რუბლში	157,299	12
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	3,367,283	1,942,257
ნაღდი ფული ლარში	6,898	19,971
სულ ნაღდი ფული	6,898	19,971

13. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიის“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე,

შპს SmartPharm

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერი

რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის გავლენა

საბალანსო ღირებულება

ლარი	31-12-22	31-12-21
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,787,076	1,485,076
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	3,374,181	1,962,228
	5,161,257	3,447,304

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანიის“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრების დიდი ნაწილი (90 %) განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები

საბალანსო ღირებულება

ლარი	31-12-22	31-12-21
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,087,805	3,568,396

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

14. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიცილური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიცილური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში „კომპანიის“ მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიის“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები	31-12-21	31-12-20	31-12-19
საქონლის რეალიზაცია	126,234	176,607	186,849
მომსახურების შესყიდვა	45,070	33,501	513
საქონლის შესყიდვა	74,293	6,600	47,551
ნაშთები	31-12-21	31-12-20	31-12-19
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43,232	30,405	14,566
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,848	821	3,832
სასესხო ვალდებულებები	-	242,355	767,485

ბ) ოპერაციები მმართველ რგოლთან

კომპანიის ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია სახელფასო ხარჯებში (იხ. მე-5 შენიშვნა):

ლარი	2021	2020	2019
ხელფასი და ბონუსები	237,258	141,065	128,624

16. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები	31-12-21	31-12-20	31-12-19
საქონლის რეალიზაცია	126,234	176,607	186,849
მომსახურების შესყიდვა	45,070	33,501	513
საქონლის შესყიდვა	74,293	6,600	47,551
ნაშთები	31-12-21	31-12-20	31-12-19
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43,232	30,405	14,566
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,848	821	3,832
სასესხო ვალდებულებები	-	242,355	767,485

ბ) ოპერაციები მმართველ რგოლთან

კომპანიის ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია სახელფასო ხარჯებში (იხ. მე-5 შენიშვნა):

ლარი	2021	2020	2019
ხელფასი და ბონუსები	237,258	141,065	128,624

16. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას აღილი არ ჰქონია.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



მმართველობის ანგარიშგება

შპს SmartPharm

2022 წ.

სარჩევი

1.	ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	2
2.	საქმიანობის მიმოხილვა და განვითარების გეგმები	3
3.	კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	5
4.	ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	5
5.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	6

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ფარმაცევტული კომპანია “სმარტფარმი” დაარსებულია 2011 წელს და საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე 2012 წლიდან მოღვაწეობს. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორს და საბითუმო დისტრიბუტორს საქართველოში, რომელიც ამარაგებს 1000-დე აფთიაქს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მედიკამენტებით. კომპანიის მთავარი ამოცანა დაარსების დღიდან დღემდე იყო და არის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა. მათი ასორტიმენტი ყოველთვის გამოირჩევა საქართველოს მოსახლეობის გადამხდელუნარიანობასთან და ამავდროულად ხარისხის ყველა საერთაშორისო სტანდარტთან და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „SmartPharm“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს. შპს „SmartPharm“-ს გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 404896715. მის 100%-იანი წილის მფლობელს (პარტნიორი) წარმოადგენს ფიზიკური პირი თეა მგალობლიშვილი პ/ნ 010200004963.

კომპანიის იურიდიული რეგისტრაციის მისამართი დაარსების დღიდან დღემდე არის: ქ. თბილისი, ბალანჩივაძის ქ. N41/დოლიძის ქ. N46, ხოლო ფაქტობრივი მისამართი საანგარიშო პერიოდისათვის არის ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის მე 2 გასასვლელი 1ა, 0160. კომპანიის საწყობი მდებარეობს დიდი ლილო, სოფელი ნასაგური, ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია.


კომპანიაში მისიისა და მთავარი ღირებულებების გარშემო გაერთიანებული და დასაქმებულია 60 ადამიანი.

ინფორმაცია შპს „SmartPharm“-ის თანამშრომლების შესახებ:

ქალი თანამშრომელი – 41 (71%);

მამაკაცი თანამშრომელი – 18 (29%);

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა:



შპს “SmartPharm” წარმოადგენს ფარმაცევტულ საბითუმო სადისტრიბუციო კომპანიას და შორისო ფარმაცევტული კომპანიების ავტორიზებულ პარტნიორს საქართველოში.

კომპანიის მისია და წარმატების მთავარი ფორმულაც გახლავთ: „გაუმჯობესება უკეთესი გაგრძელებისათვის“. „SmartPharm“-ში სჯერათ, რომ გაუმჯობესების შესაძლებლობა ყველაზე დიდი გამოწვევაა სამყაროში და მას ეფექტური ათვისება სჭირდება. კომპანიის მისიის განაცხადი ემსახურება იდეას: გააუმჯობესოს და უკეთესი გახადოს ყოველდღიური ცხოვრება, სამყარო და გარემო იმისთვის, რომ ადამიანებმა (იქნება ეს პარტნიორი, მომხმარებელი, თანამშრომელი თუ საზოგადოების წარმომადგენელი) გააგრძელონ ცხოვრება ღირსეულად, ბედნიერად და მრავალფეროვნად.

კომპანია „SmartPharm“ მისიის განხორციელებას ოთხ მთავარ და უცვლელ ღირებულებებზე დაყრდნობით ახორციელებს ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე:

გამხედობა - ჩვენი გამხედობა ახალი, განსხვავებული იდეების განვითარებაა, რომლებსაც ხშირად სხვები მიყვებიან. ჩვენი გამხედობა ჩვენს ხასიათშია, რომელიც გვამღვს ძალას არ გვეშინოდეს სიახლეების, დაბრკოლებებისა და ცვლილებების. ჩვენი გამხედობა მუდმივ ქმედებაშია, რომელსაც ყოველდღე ვახორციელებთ და რომელსაც შედეგები მოაქვს.

გონიერი გადაწყვეტილებები - ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ, ვაკეთებთ გონიერად, შორს მიმავალ შედეგებზე გათვლით, თანმიმდევრობით. ეს ეხმარება კომპანიას სტაბილურობის და, შესაბამისად, წარმატების შეგრძნების გაძლიერებაში.

პასუხისმგებლობა - ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი კომპანია და ეს აისახება ბაზრისთვის ეფექტური და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებების და გადაწყვეტილებების შეთავაზებაში,

პარტნიორებთან, საზოგადოებასთან და ქვეყანასთან პასუხისმგებლიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

მხარდაჭერა - ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთმანეთს, პარტნიორებს, ექიმებს, ადამიანებს, პაციენტებსა და მოწყვლად ჯგუფებს; კრიზისსა თუ არაკრიზისულ სიტუაციებში და ყოველთვის ვიზიარებთ საერთო გამოწვევებს.

კომპანიის საქმიანობის მიზანია - საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის მომარაგება სამედიცინო ფარმაცევტული პროდუქციით, რაც გულისხმობს: შესყიდვას, დასაწყობებას, დისტრიბუციას და მარკეტინგს.

საანგარიშო 2022 წლის ძირითადი გამოწვევა იყო GDP - რეგულაცია და სერტიფიცირება, რაც წარმატებით განხორციელდა და კომპანიამ მიიღო GDP სერტიფიკატი.

ხარისხის და GDP-ის პოლიტიკა - კომპანია მიისწრაფვის გახდეს ერთ-ერთი ლიდერი საბითუმო ფარმაცევტული დისტრიბუციის სფეროში. მიზნის მიღწევას კომპანია აპირებს დისტრიბუციის ბიზნეს-პროცესების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებით, მომსახურების დივერსიფიკაციით და დაინტერესებული მხარეებისთვის მოლოდინის შესაბამისი საუკეთესო სერვისის მიწოდებით.

პოლიტიკის შესრულებისათვის კომპანიას განსაზღვრული აქვს მიზნები და სტრატეგიული მიმართულებები საქმიანობის სფეროში. მიზნების და სტრატეგიის სწორად განხორციელებისთვის კომპანია იყენებს დანერგილ ხარისხის ISO და GDP-ის მენეჯმენტის ინტეგრირებულ სისტემას, რომელიც საუკეთესო მხარდაჭერია ორგანიზაციული და ოპერაციული მართვის პროცესების ეფექტურობის, შედეგიანობის მუდმივი გაუმჯობესების, ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიის სწორი დაგეგმვის და დაინტერესებულ მხარეებზე ზუსტი ორიენტირებისათვის.

კომპანიის მიერ კორპორატიული პოლიტიკის განხორციელებისათვის დასახული მიზნებია:

- სადისტრიბუციო საქმიანობის გაფართოება და შემოსავლების მუდმივი ზრდა,
- შიდა პროცესების მუდმივი გაუმჯობესება,
- კლიენტისთვის მიწოდებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება,
- დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების დონის გაუმჯობესება,
- პერსონალის კვალიფიკაციის და მოტივაციის მუდმივი ზრდა,
- ხარისხის და GDP-ის მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება.

Swot ანალიზის მეშვეობით დავადგინეთ კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

აღნიშნული ანალიზი კომპანიას დაეხმარა სისუსტეების აღმოფხვრაში, ასევე ხელი შეუწყო კომპანიას ღირსეული კონკურენტული როლის მიღწევაში. ძლიერი მხარეები და უპირატესობები 2022 წელსაც გამოვლინდა, თუმცა თუ დავაკვირდებით კომპანიის სუსტ მხარეებს 2022 წელს მნიშვნელოვანი სამუშაო პროცესი მიმდინარეობდა ამის აღმოსაფხვრელად, მაგრამ შედეგი ბოლომდე არ არის მიღწეული. კომპანიას აქვს შესაძლებლობები და ყველანაირი რესურსი, რომ იყოს ლიდერი ბაზარზე, თუმცა ანალიზში ჩამოთვლილი საფრთხეების ფონზე სრული შედეგის მიღწევა 2022 წელს ვერ მოხერხდა.

2022 წლის მონაცემებით კლიენტების ბაზა სტაბილურია. დაფიქსირდა რამოდენიმე შემთხვევა, რომ კლიენტმა შეიცვალა სახელწოდება, ავტომატურად გადავიდა გაუქმებული მომხმარებლების სიაში და შემდეგ შეცვლილი სახელით დაემატა ჩვენთვის აქტიურ ბაზაში.

2022 წლის მონაცემებით მომწოდებლების მხრივ შესყიდვების დეპარტამენტში რაიმე სახის ცვლილება არ განხორციელებულა, თუ არ ჩავთვლით ხანდახან ფასის ცვლილებას მატებას ან შემცირებას.

2022 წელს პერსონალის მიღება/გადინება სტაბილური იყო სხვა წლებთან შედარებით. მოხდა შიდა პროცესებში სხვადასხვა სახის ცვლილებები, რაც ეხება პერსონალის პოზიციის, ანაზღაურების, თანამდებობრივი ინსტრუქციების ცვლილებებს.

კლიენტების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა რამდენად ზრდადია და წარმატებულია კომპანია. მათი გამოკითხვიდან ჩანს კმაყოფილება ხარისხიან მომსახურებაზე, პროდუქციის ხარისხზე, კლიენტთან ურთიერთობის მაქსიმალური კეთილსინდისიერი და ლოიალური დამოკიდებულება, მათ მიერ გამოვლენილ პრობლემებზე დროული რეაგირება-თუმცა მითითებული პუნქტი გამოსასწორებელია, გასათვალისწინებელია მათი მოთხოვნა, რომ დაყოვნების ვადა მინიმუმადე შევამციროთ, რათა კლიენტი სრულად იყოს დაკმაყოფილებული. ასევე გამოვლინდა პრობლემა მომხმარებლისთვის მოთხოვნის დაგვიანებით მიწოდება, რაც განაპირობა ქვეყანაში შექმნილმა კოვიდ პირობებმა, რამაც შეაფერხა სამუშაო პროცესის მიმდინარეობა, თუმცა ამ ეტაპზე პრობლემა გამოსწორებულია და სრულად აღმოფხვრილია. ხდება კლიენტების დროული დაკმაყოფილება მათი მოთხოვნების შესაბამისად. ასევე გამოვლინდა პრობლემა მედიკამენტების დაზიანებით მიწოდებაზე, შემთხვევები რომლებიც ტრანსპორტირებისას დაფიქსირდა, ჩვენი მხრიდან გამოსასწორებელია საწყობიდან გატანის პროცედურა და ასევე დისტრიბუტორის მიერ მანქანაში ჩალაგების პროცესი. გამოვლინდა კომპანიის იმიჯზე და სანდოობის ხარისხზე კარგი შეფასება, რაც კომპანიისთვის დიდი მოტივაციაა შემდგომი წარმატებული ნაბიჯებისთვის და განვითარებისთვის.

2023 წლისთვის იგეგმება სადისტრიბუციო საქმიანობის გაფართოება, შემოსავლების მუდმივი ზრდა რის გამოც დაგეგმილი აქტივობებია ექსკლუზიური ასორტიმენტის ზრდა და ახალი მომწოდებლების მოძიება. შიდა პროცესების გაუმჯობესებისთვის იგეგმება პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება, ახალი სოფტის დანერგვა და სასაწყობო წარმადობის ზრდა, კერძოდ, ახალი სასაწყობო ფართის მშენებლობა. აგრეთვე იგეგმება კლიენტისთვის მიწოდებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება, რის გამოც უნდა დაინერგოს ქოლ ცენტრის ინფრასტრუქტურა, სატელეფონო სერვისი და ოფისის სათანადო აღჭურვა.

2023 წლისთვის იგეგმება აგრეთვე სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, პერსონალის კვალიფიკაციის და მოტივაციის მუდმივი ზრდა, წლიური სწავლებები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და ფინანსური მოტივაცია. ხარისხის და GDP-ის მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება.

3. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში განვითარების სფეროში კვლევები არ განუხორციელებია.

4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2022 წელს კომპანიამ განაგრძო სტაბილური განვითარება და საერთო ბრუნვა 2021 წელთან შედარებით გაიზარდა 5%-ით.

ეფექტიანობის კოეფიციენტები:

4 პუნქტით არის გაზრდილი წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება / საქონლის რეალიზაცია).

2021 წელს ის შეადგენდა 8%, ხოლო 2022 წელს 12%.

კომპანიის აქტივების მოცულობა წინა წელთან შედარებით გაზრდილია 40%-ით, კაპიტალი კი 52%-ით.

მომგებიანობის კოეფიციენტები:

შპს SmartPharm

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

- უკუგება აქტივებზე (მოგება/მთლიანი აქტივები) 2021 წელს შეადგენდა 24%, ხოლო 2022 წელს შეადგინა 27%,

- უკუგება კაპიტალზე (წმინდა მოგება/კაპიტალი) 2021 წელს შეადგენდა 36%, ხოლო 2022 წელს შეადგინა 37%.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი:

- მიმდინარე თანაფარდობის კოეფიციენტი (მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები) გაზრდილია 67 პუნქტით (2021 წელს შეადგენდა 303%, 2022 წელს - 370%);

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები:

- ვალის კაპიტალთან თანაფარდობა (მთლიანი ვალდებულებები / მთლიანი კაპიტალი) შემცირებულია 12 პუნქტით (2021 წელს შეადგენდა 49%, 2022 წელს - 37%);

- მთლიანი დავალიანება მთლიანი აქტივების მიმართ თანაფარდობა (მთლიანი დავალიანება / მთლიანი აქტივები) შემცირებულია 9 პუნქტით (2021 წელს შეადგენდა 33%, 2022 წელს - 27%);

სხვა ინფორმაცია ფინანსური მაჩვენებლების შესახებ მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა;
- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა;
- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა.

მოთხოვნა ფარმაცევტულ ბაზარზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს კომპანიის განვითარებაზე.

კომპანიის საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე. ამასთანავე, კომპანია შემოსავლებს ლარში იღებს. ლარის გაცვლითი კურსის უარყოფითმა ცვლილებამ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამავე დროს, კომპანიის კომერციული შესაძლებლობა გაზარდოს პროდუქციის ფასები შეზღუდულია ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში.

საქართველოში ფარმაცევტული ბაზარი მუდმივად ვითარდება და მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიას რეგულარულად უწევს მნიშვნელოვანი საოპერაციო ხარჯების გაწევა. კომპანიის შემოსავლები შესაძლოა შემცირდეს თუ ის ვერ შეძლებს შესაბამისი ხარჯების გაწევას და მომხმარებლებისთვის სასურველი პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზებას.

ფარმაცევტული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. შეიძლება თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებასთან.

შპს SmartPharm

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

კომპანიაში შემუშავებულია რისკების მართვის სტრატეგია. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დაგეგმვისას გაითვალისწინება და განისაზღვრება რისკები და შესაძლებლობები, რომელიც მიმართულია გარანტიისადმი, რომ:

- ხარისხის მენეჯმენტის სისტემა მოგვცემს მოსალოდნელ შედეგებს
- სრულყოფს სასურველ ეფექტურობას
- პრევენციას გაუკეთებს, ან შეამცირებს არასასურველ ეფექტებს
 - მიაღწევს გაუმჯობესებას.

რისკის მართვის ძირითადი ეტაპებია:

საფრთხის იდენტიფიკაცია - პროცესის ნეგატიური ფაქტორების აღმოჩენა დაკავებული პოზიციის მიხედვით (მაგ. „Mind manager“-ი და „SWOT ანალიზი“);

- ანგარიში მომხდარი ინციდენტების შესახებ;
- ნეგატიური ფაქტორების/საფრთხის შეფასება;
- რისკის დონის მიღება;
- რისკების აღმოფხვრისათვის ვარიანტების/შეთავაზებების შერჩევა დაკავებული პოზიციის მიხედვით;
- რისკის აღმოფხვრის გეგმის შემუშავება - დაკავებული პოზიციის მიხედვით;
- რისკების აღმოფხვრის გეგმის ანალიზი - საკოორდინაციო საბჭოს მიერ;
- რისკის აღმოფხვრის ზომების რეალიზაცია.

კომპანია რისკების და შესაძლებლობების დაგეგმვის დროს ითვალისწინებს:

- რისკების და შესაძლებლობისადმი მიმართულ ღონისძიებებს;
- ამ ქმედებების ინტეგრირების და დანერგვის შესაძლებლობებს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პროცესებში;
- მათი ეფექტურობის შეფასებას.

კომპანიის ხელმძღვანელობა სისტემატურად აკვირდება არსებულ რისკებს და ახორციელებს ყველა ღონისძიებას მათი გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა კომპანიამ შეუფერხებლად გააგრძელოს საქმიანობა.

დირექტორი:

ი. თევზაძე

მთავარი ბუღალტერი:

ე. ტუფურია

კომპანიაში შემუშავებულია რისკების მართვის სტრატეგია. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დაგეგმვისას გაითვალისწინება და განისაზღვრება რისკები და შესაძლებლობები, რომელიც მიმართულია გარანტიისადმი, რომ:

- ხარისხის მენეჯმენტის სისტემა მოგვცემს მოსალოდნელ შედეგებს
- სრულყოფს სასურველ ეფექტურობას
- პრევენციას გაუკეთებს, ან შეამცირებს არასასურველ ეფექტებს
 - მიაღწევს გაუმჯობესებას.

რისკის მართვის ძირითადი ეტაპებია:

საფრთხის იდენტიფიკაცია - პროცესის ნეგატიური ფაქტორების აღმოჩენა დაკავებული პოზიციის მიხედვით (მაგ. „Mind manager“-ი და „SWOT ანალიზი“);

- ანგარიში მომხდარი ინციდენტების შესახებ;
- ნეგატიური ფაქტორების/საფრთხის შეფასება;
- რისკის დონის მიღება;
- რისკების აღმოფხვრისათვის ვარიანტების/შეთავაზებების შერჩევა დაკავებული პოზიციის მიხედვით;
- რისკის აღმოფხვრის გეგმის შემუშავება - დაკავებული პოზიციის მიხედვით;
- რისკების აღმოფხვრის გეგმის ანალიზი - საკოორდინაციო საბჭოს მიერ;
- რისკის აღმოფხვრის ზომების რეალიზაცია.

კომპანია რისკების და შესაძლებლობების დაგეგმვის დროს ითვალისწინებს:

- რისკების და შესაძლებლობისადმი მიმართულ ღონისძიებებს;
- ამ ქმედებების ინტეგრირების და დანერგვის შესაძლებლობებს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პროცესებში;
- მათი ეფექტურობის შეფასებას.

კომპანიის ხელმძღვანელობა სისტემატურად აკვირდება არსებულ რისკებს და ახორციელებს ყველა ღონისძიებას მათი გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა კომპანიამ შეუფერხებლად გააგრძელოს საქმიანობა.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

ე. ტუფურია